ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4567074

ნომერი: AR1690095

თარიღი : 25.06.2019

გაცემის თარიღი : 28.06.2019

გაცნობის თარიღი : 28.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

null;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ დუნდუა პ/ნ 37001019632
- ახმეტელის2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, II კატეგორიის ქუჩას წარმოადგენს გამჭოლი ქუჩა, რომელიც არ არის გამზირი ან/და ბულვარი და არ არის დასახლების განვითარების დერეფნის შემადგენელი ნაწილი. II კატეგორიის ქუჩა განეკუთვნება III კლასს. II კატეგორიის რკინიგზას წარმოადგენს ჩიხები და შიდასაწარმოო, რომელიც განეკუთვნება IV კლასს.
ხაზობრივი ნაგებობების რემონტი-შეკეთება მათი სიმძლავრისა და მახასიათებლების შეუცვლელად, ტექნიკური ნორმების დაცვით, განეკუთვნება რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვას.
იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება II კატეგორიის ქუჩის და რკინიგზის რემონტი-შეკეთება, მას არ ესაჭიროება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის არც წერილობითი დასტური და არც მშენებლობის ნებართვა, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ხდება II კატეგორიის ქუჩის და რკინიგზის რეკონსტრუქცია, ისე რომ იცვლება მათი სიმძლავრე და მახასიათებლები, მაშინ საჭიროა მშენებლობის ნებართვის მიღება. ასეთ შემთხვევაში, თავდაპირველად საჭიროა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი გაქვთ II კატეგორიის ქუჩის და რკინიგზის რეკონსტრუქცია სიმძლავრისა და მახასიათებლების ცვლილებით, საჭიროა განცხადება დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განაცხადები – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, რის შემდეგაც პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას PDF ფაილის სახით. ასეთ შემთხვევაში, ამავე განაცხადის საფუძველზე მოგეცემათ ნომენკლატურის შეცვლის შესაძლებლობა. ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა II კატეგორიის ქუჩის და რკინიგზის რემონტი-შეკეთების შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი დასტური/მშენებლობის ნებართვა საჭირო არ არის.
დამატებით განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის საჭიროების არარსებობა, არ გამორიცხავს მესაკუთრის შესაბამისი თანხმობის მოპოვების ვალდებულების არარსებობას.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.